ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის

დისციპლინური კომიტეტის დებულება

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დირექტორის

ბრძანება

№38 **20 აპრილი,2023წ.**

სენაკი

დისციპლინური კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და სკოლა–გიმნაზიის დებულების მე–18 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დისციპლინური კომიტეტის დებულება ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს სკოლა–გიმნაზიის საქმისმწარმოებელ ია ოჩიგავას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;

3. შევიდეს ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე.

სკოლა–გიმნაზიის დირექტორი **/ნინო ჯანჯღავა/**

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულება 4

მუხლი 2. დისციპლინური კომიტეტის მიზნები და ამოცანები 4

მუხლი 3. დისციპლინური კომიტეტი 4

მუხლი 4. დისციპლინური გადაცდომები და სახდელები 5

მუხლი 5. დისციპლინური წარმოების დაწყება 7

მუხლი 6. დისციპლინური კომიტეტის სხდომა 8

მუხლი 7.დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება 9

მუხლი 8. დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება 9

მუხლი 9. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა და ვადაზე ადრე მოხსნის წესი 10

მუხლი 10. დისციპლინური კომიტეტის საქმისწარმოება 10

მუხლი 11. ცვლილებები და დამატება 10

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში-სკოლა-გიმნაზია) დისციპლინური კომიტეტის დებულება შემუშავებულია ,,საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ", სკოლა-გიმნაზიის დებულებისა და შინაგანაწესის საფუძველზე;

1.2. დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში გრძელვადიანი შედეგების ორიენტირი არის სკოლა-გიმნაზიის უსაფრთხო გარემოს ფორმირება;

1.3. დებულება განსაზღვრავს დისციპლინური კომიტეტის სტატუსს, მიზნებსა და ამოცანებს, უფლებამოსილებასა და მუშაობის წესს.

მუხლი 2. დისციპლინური კომიტეტის მიზნები და ამოცანები

2.1 სკოლა-გიმნაზიის დისციპლინური კომიტეტის მიზნებია:

- დისციპლინური გადაცდომებისა და კონფლიქტების შემცირება;
- ძალადობის პრევენცია;
- დამრღვევი და დაზარალებული მხარის შერიგება;
- ინციდენტით გამოწვეული ემოციური და მატერიალური შედეგების გამოსწორება;
- სამართლიანობის აღდგენა;

2.2 დისციპლინური კომიტეტის ძირითადი ამოცანაა:

- დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის მიღება;
- თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის/შრომის კოდექსის დარღვევის შემთხვევების განხილვა და ადეკვატური სანქციების დაწესება.

მუხლი 3. დისციპლინური კომიტეტი

3.1. დისციპლინური კომიტეტი არის სკოლა-გიმნაზიის თვითმმართველობის ორგანო, რომელიც განკუთვნილია სასკოლო დისციპლინის მართვისთვის;

3.2. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, ღებულობს გადაწყვეტილებებს დისციპლინური სახდელების შესახებ და ემსახურება სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის აღსრულებას;

3.3. დისციპლინური კომიტეტი არის მიუკერძოებელი, სამართლიანი და ვალიდური თავის გადაწყვეტილებებში, სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის;

3.4. დისციპლინური კომიტეტი ანგარიშვალდებულია სკოლა-გიმნაზიის რექტორის წინაშე;

3.5. დისციპლინური კომიტეტის წევრებს უნდა შეეძლოთ:

ა) ერთმანეთთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება;

ბ) საქმიანობის ეთიკური ნორმების დაცვა;

გ) დაგეგმონ და მოამზადონ სხდომები;

დ) შეინარჩუნონ ემოციური მდგრადობა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და თანაბარი ემპათიურობა საქმესთან დაკავშირებული ყველა პირის მიმართ;

ე) აწარმოონ საქმიანობის სრული დოკუმენტირება.

3.6. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი, საშუალო საფეხურის მოსწავლე. ამ წევრების კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

ა) მშობელთა სათათბიროს;

ბ) პედაგოგიურ საბჭოს;

გ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.

3.7. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის ასევე არაარჩევითი წევრები - ფსიქოლოგი და მოძღვარი;

3.8. სკოლა-გიმნაზიის დისციპლინური კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 9 წევრით:

ა) მასწავლებელი - 2

ბ) მშობელი - 2

გ) მესამე საფეხურის მოსწავლე - 2

დ) ფსიქოლოგი - 1

ე) მოძღვარი - 2

3.9. დისციპლინური კომიტეტი აირჩევა ერთი წლის ვადით.

3.10. დისციპლინური კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

3.11. დისციპლინურ კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ხმათა უმრავლესობით ირჩევს კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან კომიტეტის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 4. დისციპლინური გადაცდომები და სახდელები

4.1. დისციპლინური კომიტეტის ძირითადი ამოცანაა დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის მიღება. ის განიხილავს სკოლა-გიმნაზიის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ ,,საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლა-გიმნაზიის დებულების და შინაგანაწესის, სკოლა-გიმნაზიის სამსახურებრივი ინსტრუქციისა და შრომის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს;

4.2. მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომაა:

ა) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა;

ბ) სკოლა-გიმნაზიის დებულებისა და შინაგანაწესის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

გ) სკოლა-გიმნაზიის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან სხვა ტოქსიკური საშუალებების მიღება. ასევე სკოლა-გიმნაზიის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება;

დ) სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკული ან ტოქსიკური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ.

4.3. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომაა:

ა) სკოლა-გიმნაზიის შინაგანაწესის დარღვევა;

ბ) მოსწავლის მიერ მოსწავლის ქცევის კოდექსთან აშკარად შეუთავსებელი ქმედება;
გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართული უღირსი საქციელი განურჩევლად იმისა, სკოლა-გიმნაზიაშია ჩადენილი თუ მის გარეთ;
დ) კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების ბრალეული დარღვევა.

4.4. ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით სკოლა-გიმნაზიის პედაგოგის/სხვა პერსონალის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი დისციპლინური სახდელები:
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;
ე) სამსახურიდან დათხოვნა;

4.5. დისციპლინური გადაცდომისათვის მოსწავლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
ა) შენიშვნა;
ბ) საყვედური;
გ) სასტიკი საყვედური;
დ) გაკვეთილიდან გაძევება;
ე) სკოლა-გიმნაზიისათვის სასარგებლო საქმიანობა;
ვ) დროებით დათხოვნა სკოლა-გიმნაზიიდან;
ზ) სკოლიდან გარიცხვა

4.6. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შეიძლება დაკისრებულ იქნეს დისციპლინური სახდელის მხოლოდ ერთი სახე;

4.7. მასწავლებლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შეიტანება პირად საქმეში.

მუხლი 5. მოსწავლის მიერ საჩივრის წარდგენის პროცედურები

5.1. ზოგადი დებულებები

5.1.1 სკოლა-გიმნაზიის ყველა მოსწავლეს აქვს უფლება წარადგინოს მიმართვა თავისი უფლებების დარღვევის გამო;

5.1.2 მიმართვა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ემსახურებოდეს სიმართლის დადგენას;

5.1.3 ცრუ ბრალდება არაკეთილსინდისიერი საქციელია და ამისთვის ყველას მოეთხოვება პასუხი;

5.1.4 ყველა ადამიანი პასუხს აგებს საკუთარ საქციელზე;

5.1.5 სკოლა-გიმნაზიის მოსწავლის მიმართვა შეიძლება ეხებოდეს მოსწავლის უფლებების დარღვევას მშობლის, მზრუნველის(ოჯახის წევრის), მასწავლებლის, სხვა მოსწავლის, სკოლა-გიმნაზიის რომელიმე თანამშრომლის ან დირექტორის უკანონო ქმედების გამო;

5.1.6 მოსწავლეს აქვს უფლება მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

5.2. მიმართვის მომზადება

5.2.1 მოსწავლეს აქვს უფლება წარადგინოს მიმართვა ან დამოუკიდებლად, ან მშობელთან/მზრუნველთან(ოჯახის წევრთან)ერთად;

5.2.2 მიმართვა არ განიხილება თუ მასში არ არის მითითებული განმცხადებლის ვინაობა და მისამართი, რომელი უფლება დაირღვა და რას ითხოვს განმცხადებელი;

5.2.3 თუ მოსწავლეს აქვს პრეტენზია სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მიმართ, ამ შემთხვევაში მიმართვა უნდა წარედგინოს დისციპლინურ კომიტეტს,

5.2.4 ყველა სხვა დანარჩენ საკითხთთან დაკავშირებით მიმართვა უნდა წარედგინოს სკოლა-გიმნაზიის დირექტორს;

5.2.5 იმისთვის, რომ მიმართვა იყოს განხილული, აუცილებელია მისი რეგისტრაცია;

5.2.6 მომზადებული მიმართვა(ფურცელზე ხელით დაწერილი ან დაბეჭდილი)უნდა დარეგისტრირდეს სკოლა-გიმნაზიის საქმისმწარმოებელთან;

5.2.7 სკოლა-გიმნაზიის საქმისმწარმოებელმა უნდა გადასცეს მიმართვის შემომტანს მიმართვის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;

5.2.8 შეიძლება მიმართვა მომზადდეს ელექტრონულად და გაიგზავნოს სკოლა-გიმნაზიის ელექტრონულ ფოსტაზე მოსწავლის პერსონალური ელექტრონული ფოსტიდან.

5.3. მიმართვის განხილვა

5.3.1. ნებისმიერი მიმართვის განხილვისას უნდა მოუსმინონ მოსწავლეს და მის თანაკლასელებს, მიმართვასთან დაკავშირებულ სხვა პირებს და მოიპოვონ მტკიცებულებები;

5.3.2. მიმართვა განიხილება 1 თვეში;

5.3.3. მასწავლებლის მიმართ პრეტენზიას განიხილავს სკოლა-გიმნაზიის დისციპლინური კომიტეტი;

5.3.4. სკოლა-გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიმართ პრეტენზიას განიხილავს დირექტორი, ან დისციპლინური კომიტეტი;

5.3.5. სკოლა-გიმნაზიის რომელიმე მოსწავლის, ან რომელიმე მოსწავლის მშობლის მიმართ პრეტენზიას განიხილავს დირექტორი, ან დისციპლინური კომიტეტი;

5.3.6. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მიმართ პრეტენზიას განიხილავს სკოლა-გიმნაზიის რექტორი და დისციპლინური კომიტეტი. დირექტორის მიმართ პრეტენზიის საფუძველი შეიძლება გახდეს: დირექტორის გადაწყვეტილება, დირექტორის ქმედება ან უმოქმედობა.

მუხლი 6. დისციპლინური წარმოების დაწყება

6.1 დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს:

ა)სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მიმართვა კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესწავლის/განხილვის მოთხოვნით, რომელსაც თანდართულად ახლავს კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ ინფორმაცია/მასალები;

ბ)სკოლა-გიმნაზიის რექტორის მიმართვა კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესწავლის/განხილვის მოთხოვნით, რომელსაც თანდართულად ახლავს კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ ინფორმაცია/მასალები;

გ) მოსწავლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიმართვა კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესწავლის/განხილვის მოთხოვნით, რომელსაც თანდართულად ახლავს კონკრეტული პირების (მოსწავლე/მასწავლებელი) მიერ ჩადენილი გადაცდომების შესახებ ინფორმაცია/მასალები.

6.2 დისციპლინური კომიტეტისთვის ინფორმაციის/მასალების გადაცემის შემდეგ 7 დღის ვადაში კომიტეტის თავმჯდომარე ვალდებულია, დანიშნოს კომიტეტის სხდომა;

6.3 გადაცდომის ჩამდენ მასწავლებელს/მოსწავლეს(მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს) დანიშნული სხდომის თარიღის, საათისა და ადგილის შესახებ შეტყობინება ეგზავნება სხდომის ჩატარებამდე 3 დღით ადრე;

6.4 დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე კონკრეტული პირის(მასწავლებელი/მოსწავლე) მიერ გადაცდომის ჩადენის შესახებ შემოსულ ინფორმაციას/მასალებს გადასცემს კომიტეტის რომელიმე წევრს(-ებს) შესასწავლად და პირველადი დასკვნის მოსამზადებლად;

6.5 დისციპლინური კომიტეტის წევრებს სხდომის თარიღისა და ადგილის შესახებ ატყობინებენ წერილობით ან ტელეფონით, სხდომის ჩატარებამდე 2 დღით ადრე;

6.6 დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდენის მიმართ შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

მუხლი 7. დისციპლინური კომიტეტის სხდომა

7.1 დისციპლინური კომიტეტის სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში-კონკრეტულ შემთხვევაში არჩეული სხდომის თავმჯდომარე;

7.2 სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად;

7.3 დისციპლინური კომიტეტისთვის ინფორმაციის/მასალების გადაცემის შემდეგ 7 დღის ვადაში დისციპლინური კომიტეტი ვალდებულია შეისწავლოს და განიხილოს ისინი და კომიტეტის სხდომაზე მიიღოს გადაწყვეტილება სახდელის დაწესების ან არდაწესების შესახებ;

7.4 სკოლა-გიმნაზიის დირექციის ან რექტორის მოტივირებული არგუმენტების საფუძველზე შესაძლებელია კომიტეტის სხდომაზე კონკრეტული გადაცდომის ჩამდენი პირის საქმის განხილვა გადაიდოს დამატებითი მასალების მიღებამდე;

7.5 სხდომაზე საკითხი გამოაქვს დისციპლინური კომიტეტის იმ წევრს, რომელმაც მოამზადა პირველადი დასკვნა კონკრეტული გადაცდომის შესახებ;

7.6 დისციპლინური კომიტეტის სხდომა შესაძლებელია წარიმართოს როგორც სასკოლო სივრცეში, ისე დისტანციურადაც;

7.7 დისციპლინური კომიტეტის სხდომა დახურულია. კომიტეტის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს სხდომის აუდიო და ვიდეო ჩაწერა;

7.8 დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: გადაცდომის ჩამდენი პირის წარმომადგენელს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, სკოლა-გიმნაზიის დირექციას და რექტორის წარმომადგენელს;

7.9 გადაცდომის ჩამდენი პირის გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს საკითხის განხილვის გადადების საფუძველს;

7.10 დისციპლინური კომიტეტი აფასებს გადაცდომის სიმძიმის ხარისხს, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და შესაბამისად ღებულობენ გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის დაწესების ან არდაწესების შესახებ;

7.11 დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 8.დისციპლინური კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღება

8.1 დისციპლინურ სხდომაზე განხილული კონკრეტული გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინურ კომიტეტს უფლება აქვს მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:

ა) სახდელის დაწესების შესახებ;
ბ) სახდელის არდაწესების შესახებ;
გ) საკითხის გადადების შესახებ(გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით)

8.2 გადაწყვეტილების გამოტანისას მნიშვნელობა ენიჭება გადაცდომის ხასიათსა და სიმძიმეს, გადაცდომის ჩადენის პირობებს, შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს;

8.3 დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი;

8.4 ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება კომიტეტის თავმჯდომარის ხმას;

8.5 დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმით;

8.6 დისციპლინური კომიტეტის მდივანი აწარმოებს ოქმს;

8.7 დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმს ხელს აწერენ დისციპლინური კომიტეტის სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;

8.8 დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმში აისახება: დისციპლინური კომიტეტის დასახელება, კომიტეტის სხდომის ადგილი, თარიღი, მისი დაწყების დრო, სხდომის ოქმის ნომერი, განხილვის საგანი, კომიტეტის შემადგენლობა, დამსწრეთა ვინაობა, მათი პოზიციები, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისი არგუმენტაცია, სხდომაზე მიწვეულ პირთა ვინაობა და მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები, კენჭისყრის შედეგები, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შინაარსი, სხდომის დამთავრების დრო;

8.9 მიღებული გადაწყვეტილების ასლი მიეწოდება სკოლა-გიმნაზიის დირექციას სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში;

8.10 მიღებული გადაწყვეტილების ასლიდან ამონაწერი სახდელის დაწესება/არდაწესების შესახებ გასაჩივრების პირობებით, მოთხოვნის შემთხვევაში მიეწოდება გადაცდომის ჩამდენ მოსწავლეს/კანონიერ წარმომადგენელს/მასწავლებელს სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში.

მუხლი 9. დისციპლინური კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

9.1 პირს, რომლის მიმართაც დისციპლინურმა კომიტეტმა მიიღო სახდელის დაწესების გადაწყვეტილება, სახდელის დაწესებიდან 7 დღის ვადაში უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლა-გიმნაზიის რექტორთან;

9.2 რექტორს უფლება აქვს დისციპლინური კომიტეტიდან გამოითხოვოს კონკრეტული სხდომის ოქმი და მასალები;

9.3 რექტორის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში დისციპლინურმა კომიტეტმა უნდა გასცეს მასალები კონკრეტული პირის შესახებ 2 დღის ვადაში;

9.4 საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე დისციპლინური კომიტეტის სხდომაზე უნდა მოიხსნას დისციპლინური სახდელი, რაც ასევე ფიქსირდება სხდომის ოქმში.

მუხლი 10. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადა და ვადაზე ადრე მოხსნის წესი

10.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დამდებ ორგანოს ან სკოლა-გიმნაზიის რექტორს უფლება აქვს მოსწავლეს/მასწავლებელს/სხვა პერსონალს ვადამდე მოუხსნას ეს პასუხისმგებლობა, თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა მოსწავლე/მასწავლებელმა/სხვა პერსონალმა;

10.2. თუ პირს ერთი წლის განმავლობაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, იგი მიიჩნევა დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ;

10.3. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები შეიძლება ვადამდე მოეხსნას პირს მისი გამოყენებიდან 6 თვის შემდეგ სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ან სკოლა-გიმნაზიის რექტორის გადაწყვეტილებით. ვადამდე ადრე მოხსნა ფორმდება წერილობით ორ პირად. ერთი პირი რჩება სკოლა-გიმნაზიაში, მეორე პირი კი, გადაეცემა თვითონ პირს;

10.4. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე მოხსნა შეიტანება პირად საქმეში.

მუხლი 11. დისციპლინური კომიტეტის საქმისწარმოება

11.1 დისციპლინური კომიტეტი აწარმოებს თავის საქმიანობას შემდეგი დოკუმენტების საშუალებით:

ა) დანომრილი და ზონარგაყრილი ოქმების ჟურნალი, სადაც ფორმდება სხდომის ოქმები;

ბ) შემოსული და გასული დოკუმენტების რეგისტრაციის წიგნი.

მუხლი 12. ცვლილებები და დამატება

12.1 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.